საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრს

ბატონ **გიორგი ქობულიას**

ასლი: სახელმწიფო ქონების მმართვის ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ **გიორგი დუგლაძეს**

მოქ. **ჯემალ შაინიძე**

მცხ: ქ.თბილისი, დიდი ლილო, ერეკლე
მეორის მე–4 შესახვევი
პ/ნ 01030017963
ტელ: 593 271 012
ელ. ფოსტა: Tbilisi.2020@gmail.com

განცხადება

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მომსახურების ცენტრი
შემოსვლის № 33524/ 3
02-04
2019 წ
3+1
ფურცელი

2018 წლის 10 აპრილს ჩემს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (წერილი №E0660:10:04:18 წ.) და სახელმწიფო ქონების მმართვის ეროვნულ სააგენტოში (წერილი №36152/ფ 10.04.2018წ.) შემოტანილი იქნა განცხადება, რომელიც ეხებოდა ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, დაბა ბედიანში მდებარე ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის გამოსყიდვას, შემდგომში პროფილის შენარჩუნებით ინვესტიციის განხორციელების მიზნით. მიუხედავად ჩემი მზადყოფნისა თანამშრომლობაზე, ქონების მართვის სააგენტოდან მივიღე პასუხი, რომ **„ამ ეტაპზე არ განიხილავს აღნიშნული საწარმოს პრივატიზირების საკითხს“**. ვინაიდან სააგენტოს პასუხი იყო შუალედური, არ წარმოადგენდა უარს, მეძლევა იმედი და ინტერესი ჩემი იდეის განხორციელებისა, რომელიც თანხვედრაშია მაღალმთიანი რეგიონის განვითარების, რეგიონიდან მიგრაციის შეჩერების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ინტერესებთან. ამიტომ გთხოვთ, მომცეთ საშუალება გამოვისყიდო ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკა შემდეგი პირობების დაცვით:

1. დარგისთვის საჭირო პერიოდით შევუნარჩუნო (უფრო მეტიც განვავითარო) პროფილი, თუნდაც ეს მოიცავდეს მრავალ ათეულ წელს, მათ შორის მუდმივათაც კი.

2. გავეცანი რა „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების“ სტრატეგიულ დოკუმენტს (31.12.2014 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №762)

მზად ვარ ვიხელმძღვანელო და მაქსიმალურად შევასრულო დადგენილებაში დასახული დარგის განვითარების სამომავლო გეგმები:

ა) განვავითარო თემზე ორიენტირებული სტრატეგიული მომსახურება, ანუ განვახორციელო მიმდებარე რაიონებში მცირე ზომის ფსიქიატრიული კლინიკების და თავშესაფრების მოწყობა-შექმნა;

ბ) მობილური ჯგუფების განვითარება;

მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ასაკი, ბენეფიციართა ფსიქიკური მდგომარეობა, საზოგადოებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრირება (ანტისტიგმა) და მათი იურიდიულ-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურება.

3. აქტიურად ვითანამშრომლო დარგის საზოგადოებასთან (ფსიქიატრიული საზოგადოება), ეს მინიმალური ჩამონათვალია, რაც შემიძლია პროფილის კუთხით (საგულისხმოა ფსიქიატრიული მომსახურება), გავაკეთო, რომელსაც მე დავარქმევდი უფრო სოციალურ პროექტს.

ბიზნესის კუთხით:

ა) ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის ტერიტორია ჩემთვის როგორც მეწარმისათვის არის მიმზიდველი, შესაძლებლობა გააჩნია და გარწმუნებთ, რომ ბიზნესი განვითარდება რამოდენიმე მიმართულებით.

ბუნებრივი მონაცემები (ლანდშაფტი, მდებარეობა და ა.შ.) იძლევა იდეალურ შანს სარეაბილიტაციო სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის შექმნისას ე.წ. ტურისტული მედიცინის განვითარებისას (ანუ მეზობელი ქვეყნებიდან პაციენტის მოზიდვას).

ბ) რამოდენიმე მიმართულებით წარმოების განვითარება, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა ჯანსაღი პროდუქციის წარმოება, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მეცხოველეობის განვითარების კუთხით.

ბოლოს მინდა მოგახსენოთ მთავარი:

დადებითად შეთანხმების შემთხვევაში პირველსავე დღიდან ვიწყებ (პროფილის კუთხით) სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებს და იქ მყოფ ბენეფიციარებისათვის თანამედროვე ტიპის კლინიკის გამართვას არსებულის ბაზაზე გონივრულ ვადებში და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში, თუ გამოსყიდვის დროს იქნება შეღავათები (ერთ პირთან მოლაპარაკების წესით), მე მზად ვარ ავიღო ნებისმიერი ტიპის გონივრული ვალდებულება (განვახორციელო ხუთი წლის ვადაში მინიმუმ 2 მილიონი ინვესტიცია), კლინიკის სარეაბილიტაციო სარემონტო (მათ შორის რეკონსტრუქცია) სამუშაოებისთვის.

ჩემი უშუალობისათვის მინდა ბოდიში მოგიხადოთ, ვიტოვებ იმედს, რომ განცხადება გახდება წინაპირობა ჩვენი ბიზნეს-ჯგუფის აუცილებელი კომუნიკაციისა თქვენ შესაბამის წარმომადგენლებთან, რათა დეტალურად გავიაროთ საკითხები, წარმოგიდგინოთ ჩემი ბიზნეს-გეგმა, როგორც დარგის განვითარებაზე, ასევე ბიზნესის განვითარების კუთხით, აქ მოიაზრება შესასრულებელ სამუშაოთა გრაფიკი, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გათვლებით.

აქვე ავღნიშნავ, რომ ჩემი ზემოთშემოთავაზებული წინადადებების განსახორციელებლად მაქვს რამოდენიმე ბიზნეს-პაკეტი, რაც ბუნებრივია ვერ ავსახე (თავისი მოცულობიდან გამომდინარე) განცხადებაში, რამე თუ არ ვიცი თქვენი ხედვების შესახებ დეტალურად.

დამატებით მინდა გთხოვოთ, რომ უმოკლეს ვადებში განიხილოთ საკითხი, რათა დადებითი პასუხის შემთხვევაში მომეცეს საშუალება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოს დაწყებისა (მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე – მკაცრი კლიმატური პირობები).

განმცხადებელი ჯ. შაინიძე

ჯ. შაინიძე

2.04.2019 წ.



Georgia IDENTITY CARD

GEO

სახელი / FIRST NAME
ჯემალ
JEMAL

გვარი / LAST NAME
შაინიძე
SHAINIDZE

მოქ. / CIT
GEO

სქესი / SEX
მ / M

პირადი No / PERSONAL No
01030017963

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
29.09.1960

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
26.07.2027

SIGNATURE

ბარათის No / CARD No
17IB37467